

საქართველოს  
საზოგადოებრივი

# საქართველო




გ. ბერიძე



უტრნალო „ჯეჯილისა“

I	მეწისქვილე ლექსი — აჭაგისა . . . . .	3
II	ხელთათმანები (თარგმანი) — ბეს. გაშაძისა . . . . .	6
III	მამულის სიყვარული — გ. წყალტუბუკისა . . . . .	7
IV	მელიას თავ-გადასაყალი, ზღაპარი (დასასრული) — ალ. ნათაძისა . . . . .	10
V	სათის დაკარგვა (თარგმანი) . . . . .	16
VI	პატარა მაიმუნი . . . . .	17
VII	კაკბის გონება (თარგმანი) — ს. დათეშვიძისა . . . . .	18
VIII	ზამთარი ლექსი — ვანო პაჩკელი . . . . .	23
IX	კრელი სტირი საშობაო მოთხრობა (თარგმანი) — ს. ციციშვილისა . . . . .	25
X	პატარა დედოფალი (დასასრული) — ს. ციციშვილისა . . . . .	38
XI	მინაჩის ქალები (ოვიდიუსიდან) — ა. ყუმიანაშვილისა . . . . .	53
XII	წერილმანი: ანდაზები, გამოცანები, ჩქარა გამოსათქმელი, შარადა, რებუსი და ახსნა . . . . .	55
XIII	მთელი წლის სარჩევი . . . . .	60
XIV	განცხადებები . . . . .	66



თანახმათ მათი ყოვლად უსამღვდელოების საქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადაწყვიტა ქართული საყმაწვილო უტრნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სანმარებლათ.





ქართული  
ბიბლიოთეკა




ს ა ხ მ ა ჯ ვ ი ლ ო ნ ა ხ ა ტ ე ბ ი ა ნ ი

ე უ რ ნ ა ლ ი

იზარდე, მწკანე ჯიჯილო,  
დაბურდი, გასდი უანო!..  
ო. დ.

№ XII

წელიწადი მეცამეტე



თფილისი

სტამბა გ. შ. ჩოტინიანცის, № 41 | Тип. Т. М. Ротинианца, Гол. пр. № 41  
1902




ქართული  
ენობის  
სამეცნიერო  
სამუშაოების  
სამსახური

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23-го Ноября 1902 г.

---

## მეწიესქვილე.



ერთი წიესქვილის სათავე  
ცოტაოდნათ ვაიბზარზ;  
ჯერ ქონამდა და მერე-კი  
წებლი ბლოძათ ვაიზარზ.

იმ თავითვე ვაკეთებ  
არ ეოვილა მისი ძნელი,  
მაგრამ მაინც მეწიესქვილემ  
არ მოჭვიდა დროსედ სელი.

სთქვა: წებლი სომ მეტიც მოდის?!  
არ ეტევა, თითქმის ღარში!  
და ჩემს საფქვავს რა მოაჯდენს  
ან საფსულში ან სამთარში.

ვაიბავრს გული, საქმეს  
არ მისედა, წაიერება



და უჯერო მოსასრებად,  
 შეატდინა, მოატყუა.

—  
 დღეს-სვამლობით, ის სათავე  
 სულ თან-და-თან ფუჭდებოდა  
 და მით წვალი საწისქვილოს  
 თვალ-სამჩნევათ აკლდებოდა.

—  
 ბორბლებ-უურებ ჩამოურილი  
 ძლივს ბრუნავდა წისქვილის ქვა;  
 «აღარ არის სასუმრო»  
 მეწისქვილემ მაძინ-კი სთქვა.

—  
 გამოცქვიტა თვალ-უური და  
 მოინდომა გაურთხილება!  
 მაგრამ თავში წამსდარ საქმეს  
 ბოლოში რა ეძველება?

—  
 ნახს ერთხელ: წელის სასმელათ  
 მოსულიყვენ აქ ქათმები,  
 მოუვიდა გული, გაწერა,  
 აებუტა თავსე თმები!..

—  
 წვალი ისეც ცოტა მოდის

და ესენიც მიკლებნო!  
თუ კაცი ვარ არ შეგარჩენთ  
მაგ სიავეს აღარც თქვენო!

—  
მიამხსა, «აქმა», საწულებს  
წელის დაღევატ არ ატალა;  
ჭკრბ ჭოლოკი და სულ ეველა  
ერთათ გააკოტრიბლა!

—  
მაგრამ ამით იმ საბრალომ  
საქმეს მანც ვერ უშველა;  
წებლიც დაძრბ და ქათმებიც  
ამოწუვიტა სულ მთლათ ეველა.

—  
სოკიერთი კაცი არის  
ეურს არ უგდებს სახლსა და კარს  
და გარეთ-კი უბრბლოსე  
გადალახნავს მთასა და ბარს.

—  
სად და როდის რა უნდა ჭქნას  
მან მის დროსე არ ესმის ეს.  
და მიტომც მოგვაგონებს  
ამ ჩვენს სდაზრულს მეწისქვილეს.

## ხელთათმანები.



რთ მავიდასე ეწეო ორი ხელთათმანი; ერთი მათგანი იყო სუფთა და სრულიად ახალი, მეორე-კი დაძველებული, წვირიანი და ნახშირი.

— გამძორდი იქით შე ბინძურო და გლახა! უევიროდა მას ახალი ხელთათმანი.

— ნუ მიუვირი! უპასუსა ძველმა ხელთათმანმა, — როცა პატრონს დაუწეებ სამსახურს, იცოდე, რომ შენც ასევე დაძველდები; უწინ შე


შენსე უფრო ლამაზი ვიყავი, დიდხანს ვინახავდი სუფთათ ჩემი ქალბატონის ხელს, ვიფარავდი მას სიცვიისგანაც და სიცხისგანაც, მაგრამ ახლა-კი გადამაგდეს. შენ ჯერ არც კი დაგიწეია შენი პატრონის სამსახური, — ჯერ იმსახურე და პერე დაიწეე ტრახასი.

ბეს. ვაშაძე.

(თარგმანი)



მაგულის სიუჰარული.



ძველ დროში ბერძნებისთანა შესანიშნავი ხალხი არა უოფილა ქვეყანასე.—უველას ისე უუვარდა, ქალსა და კაცს, თავისი ქვეყანა, რომ მხათ იყო თავი შეეწირო მისთვის, მაგულის დალატი დიდ სირცხვილათ მიაჩნდათ. აი მაგალითათ ერთსელ

რს ამბავი მოხდა სწარტას ქალაქში.

მეიდანსე აუარებელი ხალხი იყო თავმოყრილი; აურსაური ისმოდა და დიდი და ჰატარს ქვას ესიდებოდა, რომ ტაძრის კარები ამოექოლათ. უველასე უწინ ერთი მოსუცებული მანდილოსანი მიიჭრა და გამწარებული წუველა-კრულვით ჰირველმა დააგორა ქვა ტაძრის კარებში. ეს რომ ხალხმა დაინახა, ადტაცებით მოართო უვირილი: «ვაძა, ვაძა—გძირ დედასო!»

ეს მანდილოსანი დედა იყო სწარტას ჯარების უფრო-

სის ჰავსანისი, რომელიც იმ დროს ტაძარში იმალებოდა, რომ ადელევებულ ხალხს არ მოეკლა.

ამ დრომდის ბერძნების ჰატარა, მაგრამ მშვენიერ ქვეყანას ორჯელ შემოესია სწარსეთის უთვალავი ლაშქარი და უნდოდა მიწასთან გაესწორებია იგი. მაგრამ ბერძნები და მათი სახელოვანი გმირები ისეთი ოსტატობითა და მამაცობით დასკდენ მტერს, რომ ორჯელვე საშინლათ დაამარცხეს და შერცხვენილები განდევნეს.

სწარსეთის მეფე ქსერქსესი გულზე სკადებოდა და სულ იმის ფიქრში იყო, რომ როგორმე ამოეყარა ბერძნების ჯავრი.

სწორეთ ამ დროს ჰავსანიმ უღალატა თავის ქვეყანას და ჩუმათ მიწერ-მოწერა გამართა სწარსეთის მეფესთან. — შენი ქალი მომათხოვე, სწერდა იგი სწარსეთის მეფეს — და ბერძნებს ხელში ჩაგიგდებო. ამას გარდა ისიც მისწერა, ვინც-კი ჩემი წერილი მოგიტანოს, უველანი დახოცე, რომ უკან არავინ დაბრუნდეს და ჩვენი საიდუმლო არ გაამჟღავნოსო. სწარსეთის მეფეს ძრიელ იამა ეს ამბავი და ჰავსანის უველა თხოვნას ასრულებდა.

ჰავსანის ჯარის-კაცებს უკვირდათ, რომ სწარსეთში გაგზავნილი კაცები უკან აღარ ბრუნდებოდენ, და რაღაც ეჭვი აიღეს. ამიტომ ერთმა მათგანმა, რომელსაც წერილი უნდა წაედო, წიგნი გახსნა, წაიკითხა და უველაჟერი გაიკო. იგი იმ წამსვე გაიქცა და წერილი სწარსელებს გა-


დასცა. ხალხის უფროსები შეიკრიბენ და მოღალატის მოკვლას გადასწყვიტეს.

გაიგო თუ არა მოღალატემ, იმ წამსვე ტანარს მიაშურა და შიგ თავი შეაფარა. ბერძნებს ისეთი ადამიანი ჰქონდათ, რომ თუ-კი დამნაშავე ტანარში შესვლას მოასწრებდა, მას ხელს ვერავინ ახლებდა. მაშინ სწარტელებმა გადასწყვიტეს საუდრის კარები ამოექოლათ, რომ ქვეყნის მოღალატე იქ დაღუპულიყო.

ზავსანის საბრალო დედამ რომ შვილის ღალატი გაიგო, თავში ხელი წაიშინა, მაგრამ ის შვილის დაღუპვას-კი არ ტიროდა, მას გულს უკლავდა ის, რომ მისი ღვიძლი შვილი თვისის ქვეყნის მოღალატე გამოდგა. ამიტომაც ეველასე უწინ მან მთარბინა ქვა ტანარის კარების ამოსაქოლავათ, რომ სსკა დედებისთვის მაგალითი ეჩვენებია.

მამულის სიუვარულიც ასეთი უნდა!

გ. წყალტუბელი.



## ბელიას თავ-გადასავალი.

(ზღაპარი)

### XII



აღიან უგადრისათ გაგვხდა ამ მატეუარამ მე და ჩემი ცოლი, — წარმოთქვა მკელმა, — სომ მოგვხსენებათ, რომ მთელი მისი სიცოცხლე ოინებში, სიცრუეში და თვალთ-მაქცეობაში მიმდინარეობს! ერთხელ ჩემმა დედაკაცმა გაიარა ჭის ახლო, იმ სახაროზე ვიღასაც ორი ბადე გადაეშალა. კარეწარს ცელქობა მონდამებო და ბადეში ჩაბრძანებულყო. ბადეს ნელ-ნელა დაეწია ძირს და ავასაკი-კი ძირ-ძირს წასულიყო, ცოტა არა შეჭმინებოდა კიდევ შეჩვენებულს. ამ დროს დაენახა ჩემი ცოლი და ტებილათ დაეწო ლაპარაკი: «ნათლიჯაღაბო, აქ რას აკეთებ? ჩემი ნახვა მოგინდა განა? ჩამობრძანდი გენაცვალე, ჩამობრძანდი, ერთი ლასათიანათ უნდა გაგიმასწინძლდე; აი ემაგ ბადეში ჩაბრძანდი და მოხვალ ჩემთან. ჩამობრძანდი, ჩამობრძანდი გენაცვა-



ლე, იმდენს თევსს გაჭმევ, იმდენს, რომ ერთი თვე ჭამა აღარ მოგინდესო!

დაუჯერა ჩემმა ცოლმაც და ჩავიდა ბადეში; ბადეს ძირ-ძირ წავიდა და ჰირდანირ მელიასთან ამოყო თავი ჩემმა მეუღლემ. ის შეჩვენებული შესატა ბადეს და ამის შემწყობით სევით ამობრძანდა, ჩემი ცოლი-კი დასტოვა ჭაში. თქვენ უნდა გენახათ ამისი შემინებული სახე, რომ მიმხვდარეუავით, რა ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა იგი ამ შეჩვენებულმა. მეორე დღეს მოცვივნულიყვენ გლესები და საცოდავი ისე გაეხადნათ, ისე, რომ ვეღარ ვიცანი, სახლში რომ დაბრუნდა.

მეორეთ კიდევ ავკითქდა შეჩვენებული — წამოდით და თევსს დაგაჭერინებთო. «მხოლოთ კუდები ჩააწყეთ ამ მორევში და აუარებელი თევსი, დიდი, თუ ჰატარა სულ კუდებსე მოკებმებათო». ჩვენც დაუჯერეთ გარეწარს და კუდები ჩავეავით, ასე ვისხედით საღამომდის. ამ დროს გლესებიც წამოგვესწრენ. შიშისაგან ჩემს მეუღლემ ამოიწია კუდი, მეც დავუწეე წევა, მაგრამ სად წაუსვიდოდი მტერს. — ჩვენი კუდები სულ მთლათ გაუინულიყო. სხვა რაღა დაგვრჩენოდა: დავიწეეთ ემუილი და მასილი, გლესები-კი გვიშენდენ და გვიშენდენ კეტებსა და ქვებს და რაც მამინ ჩვენ გადაგვსდა, დემოთო, შენ ნუ მოუშლი მაგისტანა სიკეთეს ამ შეჩვენებულის ოჯახსა, დაუმატა ტუჩამ.

— თქვენ რომ ღორმეცველები იყოთ, აბა ჩემი რა გა-



დასახადია? — იმართლებდა თავს გარეწარი. მე მხოლოდ თევზის დაჭერის წესი გიჩვენებ და განა ის გითხარით, მთელი დღე კუდები ჩაწვეთ-მეთქი მორევში. მე სომ ვიცი იმდენს სანს კუდები რათა გკონდათ უინულში ჩაწვობილი? გითხრათ? ჰა, გაწითლდით განა? თქვენ ბევრი თევზის დაჭერა მოინდომეთ და სომ მოგესვენებათ: «ქორო, ბევრისა მდევარო, ბევრჯელ დარჩები მშიერიო». ცოტა ადრე რომ ამოგწიათ, ის კუდებიც შეგრჩებოდათ და თქვენც თევზს ბევრს დაიჭერდით, მაგრამ რა ვუთხრა თქვენს ღორ-მუცლობას!

— ჩვენ და ეს საქმეს სხვაგვარათ ველარ მოვაწვობთ, თქვა ჩაფიქრებულმა ტუჩამ, უნდა სმალია გაგვასწოროს. ვიწვევ გარეწარს საბრძოლველათ და თან ამასაც ვუმატებ, რომ იგი შეჩვენებული და წყეულია, გაუტანელი, ქურდი, ავასაკი, მეფის მოღალატე და სხვა ყველაფერი. გამობრძანდი, ბატონო ჩემო და მე გიჩვენებ სეირს!

მელიას ამ მუქარასე ცოტა არა დიდილი მოუვიდა. «მაგას სომ წინა ფენებსე ბრჭყალები არა აქვს და რა უნდა მიუძს ამ უბედურმაო», ფიქრობდა შეჩვენებული. მერე სმა ძალდა დაიწყო: «შენ თვითონ ხარ ავასაკიც, ქურდიც, გაიძვერაც და მეფის მოღალატეც. განა მე შენ უნდა შემაძინო? მობრძანდი, მსათა ვარ, თუ გინდა აი ახლავეო».

ბრძოლა მეფის ბრძანებით მეორე დღისთვის გადაიდგა. მელიას მაიმუნები და სხვა მეგობრებიც თავს არ ანებებდენ, მეტის-მეტათ ამხნევებდენ. მანჭია მაიმუნმა სულ მთლათ

გაკრიჭა მელია და ტანსე წაუსვა ერბო და ქონი. კარწარი უოჩადათ და მსიარულათ გამოიურებოდა.

მაიმუნებმა დაარბეს კიდევ ომში რა რიგათ უნდა მოქცეულიყო იგი: თქვენ დაისველეთ კუდი, ამოავლეთ ქვიშაში და ტუჩას შიგ თვალებში დაუწვეთ კუდით ცემა. ახლა კი მიიწოვით ისე და ძილით სსეული გაიმსგრეთო.

მეორე დღეს მელია ადრე ადგა და გასწია დანიშნულ ადგილისაკენ.

### XIII

— აბა მსნეთ იუავი, ჩემო მეგობარო, ეუბნებოდა მანჭია კარწარს.— ბრძოლაში გამჭრინახობა და სიძარდეა საჭირო.

— კმადლობთ, კმადლობთ დარბიებისთვის, ჩემო გულისწორო, ღმერთმა თქვენი თავი ნუ მომიძალოს, ნურც ღსინძი და ნურც ჭირში. გაიღიმა ეშმაკურათ და ნელ-ნელა გავიდა ბრძოლის ველზე.

დაიწყო ბრძოლა. ტუჩა საშინელ რამეს წარმოადგენდა. სიბრახისაგან თვალები ენთებოდა და ჰირიდან ცოფებსა ჰქერიდა. გამოვარდა ჰირ-დაღრენილი და დაეჯახა მელიას. შეჩვენებული განსე გაუხტა და რაღაც საწამლაჳში ამოვლებული კუდი თვალებში შეაწინწკლა. უბედურს სულ მთლათ აერია მსედველობა. შეჩვენებულმა ეს არ აკმაწა მკელს—



აუძტვერს კიდევ და თვალები სულ მთლათ ჩაალუღვინა. შეიკრიბა საცოდავმა უკანასკნელი ძალა და განრისხებული მივარდა მელიას და მიწასე დასცა. მელია ძალე წამოხტა, მივარდა უნურატომი და საცოდავ მკელს სრანტალი და-აწუებინა. მის საცოდანობით ქვეყანა იწოდა. სთხოვეს კიდევ მეფეს — ომის მოსწობა.

ლოძმა მიიწვია თავისთან მელია და ეს უთხრა: — გამარჯვება შენ დაგრჩა, და, მაშასადამე სიძარტლევს შენკენა ეოფილათ.

ამ მოწვალე სიტყვების გაცონებაზე, ეველა იქ მეოფი მივარდა მელიას და ულოცავდა ბრძოლიდან მძვიდობიანათ გამოსვლას. ზოგი ძღეროდა, ზოგი ღბირას უკრავდა და ზოგიც ცეკვაობით ულოცავდა გარეწარს ბედნიერებას. ეს შეჩვენებული-კი განსე გამდგარეიო და ღიმილით და მოს-დენილათ ეველას თავს უკანტრუშებდა.

— თქვენ გიბრუნებთ უკანვე, ბრძანა მეფემ, ეველა სარისხსა და წარჩინებას, რითაც წინათ იყავით დაჯილდო-ვებული. ამას იქით მელია ჩემი მარჯვენა ხელი იქნება და სასელმწიფო ღერბსაც ამას ვაბარებ. ბრბო მოწიწებით ის-მენდა თავის მეფის სიტყვას. მელია დაჩოქილი იყო და სინარულის ნიშნათ კუღს აქეთ-იქით იქნევდა და იღიმე-ბოდა; ხან-კი წამოვარდებოდა და ნასათ მეფეს ფეხს ულო-კავდა.

საწვალე მკელი-კი ეგდო მიწასე სულ მთლათ დასისხ-



ლიანებული და ებრძოდა სიკვდილს. მისი დანადგლიანებული მეუღლე მოთქმით დასტიროდა თავის საუვარელ ქმარს და სწეველიდა შეჩვენებულ მელიას.

არც ბოხვერბ და ციცუნია იუვენ კარგ გუნებაზე. ამით დადეს საცოდნავი მომაკვდავი მკელი საკაცესე და ტირილითა და ვიძით წასვენეს სასლში.

მელია-კი ცალი თვალთ გაიციირებოდა ტუნასკენ და სხვის უბედურებაზე სიცილით კვდებოდა.

ამაჲათ მიატოვა სასასლე გარეწარმა. იქ მეოფნი ძალა უნებურათ აღტაცებულნი ისტუმრებდენ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულს. მის სასესე კმაყოფილების სხივი გადაჭყენოდა, მისი მძვენიერი ბამბურა კუდი უწინდელზე უფრო ბრჭყვინავდა. სასასლის კარებთან იგი უველას გამომეშვიდობა და გასწია შინისკენ. სასლში ცოლ-შვილი გულის-ფანცქალით მოელოდენ ოჯახის დედა-ბომს და როცა დაინახეს სინარულით ხეცას ეწეოდენ.

მელიამ ეველანი გარდაკოცნა და დასვენების შემდეგ მოუყვა თავის თავ-გადასავალს და გამარჯვების ამბავს.

აღ. ნათაძე.

(დასასრული)





## საათის დაპარგვა.



ერთ მშვენიერ დილას ორი მეგობარი წავიდენ ჭალაში გასასეირნებლათ. ძალიან ნასიამოვნები დაბრუნდენ სახლში, მერე გამოჩნდა რომ ერთ იმათგანს დაჭკარგოდა საათი. კარგათ ახსოვდა რომ საათი თან ჰქონდა, ტყეში ამოიღო კიდეც, როდესაც მეგობარმა კითხა: რამდენი საათიაო.

საათის ზატონი შიშობდა, რომ თუ ბაღასში ჩავარდა სადმე მწელი საზოგნელი იქნებოა, შესაძლო იყო ფენი დაეღობათ კიდეც და გაეჭულიტათ. ამან წაიუვანა თავისი ძაღლი და წავიდა სამებნელათ, მეგობარიც თან გაჰყვა.

ძაღლი შურდულივით გაექანა სწორეთ იმ მხარეს, სადაც წინა დღეს დასეირნობდენ. მეგობრები გაჰყვენ მას და ძაღუ დაინახეს ჭკვიანი ძაღლი ერთ ხის ძირას, რომლის ტოტსე ქანაობდა ძეძკვით ჩამოკიდებული დაკარგული საათი.

(თარგმანი).

## პატარა მაიმუნი.



რომა ბავშვა, რაკი ოთახიდან უფრო-სები გაიგულა, დაიწყო უცნაურათ ცუდეობა: ჩამოეკიდა ფარდის ზონარს და მოჭყვა ჭურში ქანაობას. მის მეგობარს, ზატარა მაიმუნს ძალიან მოეწონა ამნაირი თამაშობა და ისიც სინარულით იმანჭებოდა და სტოდა სკამზე.

ერთბაშათ ემაწვილმა თავი მი-არტყა ფანჯარას, დაიკვილა და დეცა იატაკზე. მაიმუნი მინვდა, რომ რაღაც უბედურებააო და სანქროთ გაიქცა მეორე ოთახში, სადაც ემაწვილის ბებია იჯდა. დაუწყო ამ მაიმუნმა ბებიას კალთის წვევა, კბილების კრახუნნი, მანჭიობა და თანაც წამდაუწუმ კარებისკენ გაიურებოდა.

მოსუცებულს ეგონა პირუტყვი კბენას მიპირებსო და შეემინდა. მერე შეამჩნია რომ კარებისკენ ითხოვს იმას, ადგა და გაჭყვა მეორე ოთახში. სადაც მისი შვილი-შვილი თამაშობდა. ზატარა ცუდეი მაშინვე აიუვანეს და ცივი ტილოები დაადეს თავზე. კარგა სანი გავიდა სანამ ამ ცუდეს გაუვლიდა ტკივილები და შიში.



## პაპის გონება.



რთ მოღრუბლულ დღეს მამას შემოუსხდენ კარს თავისი ზატარა შვილები და ესვეწებოდენ, რამე ამბავი გვიამბეო.

— მამილო, რა კარგია, რომ დღეს წვიმიანი დღეა! კარში სომ ვერ ვითამაშებთ და უნდა შენ მოგვიყუე ამბებსა. რასე გვიამბობ? ეკითხებოდა მას საშუალო ქალიშვილი ელიკო.

— მე გვიამბობთ კაპის ცხოვრების ამბებს.

— უჰ, რა მშვენიერი ფრინველია! წამოიძისა უნცროსმა შვილმა.

— მასთან, შვილო, კაპები მეტათ გონიერი და საუკარელი ფრინველები არიან. იმათი მოძინაურება ძლიერ ადვილია. ბევრი კარგი ამბები გამიგონია მოძინაურებულ კაპებსე. ერთ მოძინაურებულ კაპას, თურმე, ისე უყვარდა თავისი ზატრონი, რომ მუდამ მუსლსე უჯდა და ეალერსე-

ბოდა. როცა ჰატრონი მარჯვენა სელითა სწერდა, კაკები მარცხენა სელზე დასაკუჭდებოდა და ტებილათ მიიძინებდა. მეტათ უეპარდა, როცა მას ეუერებოდენ და ეალერსებოდენ. როცა ჰატრონი გარედან დაბრუნდებოდა, კაკები ფათქუნით ესოში გაეკებებოდა. მხოლოთ ერთი დრო იყო ისეთი, რომ მას სელს ვერავინ მიაკარებდა: ეს მაშინ, როცა მას ფრთები სცვივოდა და ახალი ესრდებოდა.

თავის ჰატრონის ქეკობრებს ეველას იცნობდა. სოვი მათგანი უეპარდა, სოვი სძულდა. თუ რომ ოთახში რამე ცვლილება მოხდებოდა, ეველასე მეტს ისა შუოთავდა. ეველასე ათვლიერებდა, დაფთხიანობდა და ეოველ ცვლილებას აკვირდებოდა, თითქო უნდა თქვასო: «ეს რა ამბავიაო!» თუ როგორმე შეეცვილ სალიხას (ნოხს) შეაჩნევდა, მეტათ აღელვდებოდა. სანამ კლანჭებითა და ნისკარტით არ გაასწორებდა, მანამ მისი მოსკენება არ იქნებოდა.

ეს კაკები ცოტათი ბავშვებსაც წაგავდა: იმას უეპარდა შახარი, შახრის ჰური, ფერად-ფერადი ნაჭრები და სხვა.

მთელ ოჯახობას ეალერსებოდა. როცა რომელიმე მათგანი შინ არ იყო და ორ-სამ თვეს შემდეგ დაბრუნდებოდა, კაკები ისეთს ფათქუნს მორთავდა, ისე გაგვიდებოდა, რომ ჰატრონი იძულებული იყო გალიაში შეემწევიდა. თვალითაც რომ ვერ დაენახა, ის შორიდან ხმითაც იცნობდა კაცსა.

მას ეოველთვის თავის ჰატრონთან ემინა, მაგრამ უდ-



როგო-დროს არასოდეს არ აწუხებდა. დანიშნულ დროზე გამოაღვიძებდა, მაგრამ ვაი მას, თუ მეორეთ დაიძინებდა! კაკები განეღლებოდა, მორთავდა სასარგელ ევირილს სედ ზატრონის უერთან. ვინ იქნებოდა ისეთი ძილის-გუდა, რომ იმის კვილსე არ წაიკვარდნილიყო!

ერთსელ საკვირველი ამბავი მოხდა, რომელმაც მთელი ოჯახი შეაშფოთა. ფანჯარა ღია იყო, საწვავლი ფრინველი რაღაცამ დააფრთხო; სრულიად მოულოდნელათ გამოფრინდა ოთახიდან და გაქცრა თვალიდან. მას ფრენა არ უკვარდა, უფრო სტუნვა და სირბილი ესერებოდა. კიბეზედაც-კი ვერ ბედავდა ჩამოფრენას.

ეს ოჯახობა ცნოვრობდა შუა ქალაქში. ეველანი ფიქრობდენ, რომ კაკები დაიკარგებნო და ძალიან სწუხდენ. საწვავლი ფრინველი! ვეღარ ვისილახუთ ჩვენს საუკვარელს კაკებსნო — გაიძახოდნო ეველა; არა ერთი ცვარბი ცრემლი დაიღვარა იმის გამო.

მაგრამ ავდარს შემდეგ სშირად მსე გამოანათებს სილამე, დიდ ჯავრიანობას სშირათ საამო ამბავიც მოჭეუება, ანლაგ ასე მოხდა: დიდის გაჭირვებით და ვაი-ვაგლანით მონახეს გადაკარგული კაკები.

დიდათ მოხარული შეიქმნა ოჯახობა, მაგრამ კიდევ უფრო უხაროდა თვით კაკებსნა; მას შემდეგ ძლიერ ფრთხილათ კეტავდენ ეველა ფანჯრებსა და კარებსა, რომ კაკები არ გაფრენილიყო.

ერთ დღეს კაკების ჰატრონის დედა ოთახში საქმობდა. ამ დროს შევარდა იმასთან კაკები მეტათ გაშფოთებული, ეცა დედაბერს, დაუწყო კალთის წევა; ერთხანს ურბინა გარსა და ისევ გამოვარდა ოთახიდან. მაგრამ ძაღვ შებრუნდა და მანამ იტრიალა წინ და უკან, სანამ დედაბერი არ ადგა და არ გაქცვა თან. კაკებმა გაიუვანა ის მეორე ოთახში და ჰირდაჰირ ფანჯარასთან მიიუვანა. თურმე გაღია გადმოვარდნილიყო. დედაბერმა აიღო გაღია და ჩამოჰკიდა თავის ალაგას, კაკებიც სრულიად დამშვიდდა.

შვილები კმაყოფილათ შეცქეროდნენ მამას თვალებში.

— ახლა გარეულ კაკაბზე გვიამბე რამე! უთხრა მამას ელიკომ.

მამამ განაგრძო: — გარეული კაკები მიწასე აკეთებს ბუდეს; უმეტეს ნაწილათ ვანაში, ამოსთხრის ჰატარა ორმოს, ჩააფენს ბალახს, ჩასდებს შიგ კვერცხებს; სევიდან წაყრის ფოთლებსა, რომ კვრავინ დაინახოს. როცა ბარტყები გამოიჩეკებიან, ის მათის გულისათვის თავსაც გასწირავს. ავღრიან დღეებში სშირათ უნახავთ დედა-კაკები დამკვლარი თავის ბუდესე. ის ცდილობს, ბარტყები არ გაუცივდეს; მუდამ ხედ ასის და არ ცილდება. ამ თავ-განწირულებასში კი სშირათ შიშხილთ სული ამოხდება სოლმე.

როცა მონადირე, ან ძაღლი უახლოვდება კაკების ჰატარა ოჯახობას, დედა-კაკები უცნაურის სმით გაიძახის. ამ სმასე ოჯახობა ცდილობს საჩქაროთ ბალახებში ჩაიმალოს.



მონადირეს მოსატყუილებლათ დედა-კაკები შემდეგ სერს-სა სძარბობს: აფრინდება და იქვე ახლოს ეცემა, ვითომც დაჭრილი ვარო. მონადირე, რასაკვირველია, გაედევნება მას; კაკები-კი თანდათან გაიტყუილებს და მოაშორებს თავის საუვარდელ ოჯახს. როცა დიდ მანძილზე გაიტყუილებს, უცბათ აფრინდება და გასწევს თავის სახლობისაკენ. თავის ბარტყებს აცნობებს, რომ ახლა შიში ნულარაფრისა გაქვ-თო, ჩემთან მოგროვდითო.

როცა მე ჰატარბ ვიუბვი, ასე მომატყუილა კაკაჰმა. მივს-დიე მას და ვფიქრობდი, რომ აი სწორეთ ახლა მიმიუგანს თავის ბუდესთან-თქო, და იმან-კი ერთი იფთხრიალა, და-ჭკივლა, შემოგვიტრიალა ვარს და გაგვიქრა თვალიდან.

ს. დათეშიძე.

(თარგმანი)





ზ ა მ თ ა რ ი.



ემოდგომამ გაიარა,  
აწ გვეწვია ჩვენ ზამთარი;  
სწეტაკ თოვლით მოიფარა:  
ტყე, მინდორი, მთა და ბარი.

მზეც დაგვმოწდა ცოტა სნობით,  
მიიძალა სადღაც შორსა,  
მაგრამ მიწას თვის სსივებით  
არ მოაკლებს ის ამბორსა.

აკერ ნახათ ღრუბლებ შორის  
იბრჭყვიალა მისისა შუქმა,  
და უეცრივ საიდგანაც



წამოჭებერა ზამთრის ბუქმა.

დაუბერა, დაუსტვინა —  
 სასარელი ასტედა ქარი,  
 მზის სხივი-კი მიგვეძალა  
 ვადეუარა სეღ ზამთარი.

ვანო ბარველი.



## ჭრელი სტვირი.

საშობაო მოთხრობა.



ბედური არჩიბალდ კემბელი გულ-  
მოკლული დასცქეროდა პატარა სა-  
წოლს, სადაც ეძინა მის პატარა ვაჟს,  
ქერა — ხუჭუჭ თმიან, გამხდარ გაყვით-  
ლებულ თომას. მბეჭუავე სანათის  
მკრთალ სინათლეზე სამწუხარო სა-  
ნახაობას წარმოადგენდა არჩიბალდის  
სახლის ღარიბული ავეჯეულობა და  
მათ შორის გაყვითლებული სახე ბავ-  
შისა. ერთის წლის წინეთ სასიამოე-  
ნო სანახაეი იყო პატარა თომა, თეთრ  
წითელი, მხიარული ფუნჩულა ბი-  
ჭიკო!

— ასეთი საოცარი ცვლილე-  
ბა, ამ ცოტას ხანში! — გამწარებით  
წაილაპარაკა მამამ და კბილი-კბილს

მოუჭირა, რომ ყელში მომდგარი მწარე ქეითინი შეემაგრებინა.  
ის უცებ გამობრუნდა კარში გასასვლელათ, მაგრამ ამ დროს თვალი  
მოჰკრა ბავშვის წინდას, რომელიც საწოლის ბოლოზე იყო ჩამოკი-  
ლებული და შეჩერდა.



თარგმანი  
ნიკოლოზი

— თომას ჩამოუკიდნია წინდა იმიტომ, რომ წმიდა ნიკოლოზი საჩუქრებით აუხსებს მას—გაიფიქრა გამწარებულმა მამამ დღეს შობის წინა დღეა, დაჩვეულია საჩუქრებს. ოხ ღმერთო! რა ექნა... სად წავიდე!

კარგა ხანია არჩიბალდი ღარიბათ ცხოვრობდა, რამდენსამე თვის გულ-გრილათ უცქეროდა ყოველ გეარ გაქირებას, მაგრამ ახლა-კი სულ სხენაირათ მოქმედობდა მახე ყველაფერი; იგი მშიერი იყო, თან უზედური და პატარა ბავშვის წინდის დანახვამ ათასნაირი დარდი და ვარამი აუშალა საცოდავს და ცრემლებით თვალები ისე აუფსო, რომ გაყვითლებულ ბავშვის სახესაც ვეღარ ხედავდა.

— ერთი უბრალო სათამაშოც ვერ შემიძლიან ვუყვიღო ჩემს ბიჭიკოს, ჩემს სიხარულს—ფიქრობდა არჩიბალდი და თან ითვალისწინებდა იმას, რომ არაჲც თუ სათამაშო, ხვალისთვის პურის ფულიც არ მოგპოვებოდა.

— ხვალ თომა გაიღვიძებს და რა შეწუხებულის სახით შეხედავს თავის ცარიელს წინდას! ამოიკენესა საცოდავმა მამამ.

მძინარე ბავში გაინძრა, არჩიბალდს შეეშინდა არ გაეღვიძო და ოთახიდან გასვლა დააპირა, მაგრამ მონძრეულმა იატაკის ფიცარმა გაიჭრაჭუნა, ბავშს გამოეღვიძა და ლოგინზე წამოჯდა.

— მამილო შენა ხარ? დაეკითხა თომა მამას.

— მე ვარ, გენაცვალოს მამა.

— მე-კი მეგონა, რომ წმიდა ნიკოლოზი იყო. წარმოთქვა გულ-დაწყვეტით ბავშმა და ისევე ბალიშზე მიესვენა.—ძალიან დავიღალე, მამილო, მეძინებოდა, მაგრამ ეცდილობდი არ დამეძინა. მინდა მე თითონ ენახო წმიდა ნიკოლოზი, როდესაც ჩვენსა შემოვიდის. მინდა ვთხოვა, რომ საჩუქრათ ჭრელი სტერი მომიტანოს, ქვეყანაზე სხვა არაფერი არა მინდა-რა. შენ რას იტყვი, მამილო, ხომ არ ეწყინება წმიდა ნიკოლოზს, რომ ვთხოვო პატარა ჭრელი სტერი? აჰ, მამა, რას იტყვის?

— არა, არა მეგონია რომ ეწყინოს, თავ-ჩაღუნვით უპასუხა მამამ.

— იმას ხომ მუდამ ეშოვება სტვირები, არა მამა?

— დიან, რასაკვირველია. იმას მოაქვს ხოლმე სტვირებიც, და-  
ლაბანდებიც, ხმლებიც და სხვა სათამაშოებიც.

— თუ სტვირები აქვს, მამიკო, ის უთუოთ მამცემს ერთს, თუნდ რომელიც პატარა იქნება იმას, აი ამოტენას, სულ პატარას, არა მამა? მე ისეთი ზრდილობიანათ დაუწყებ ლაპარაკს, რომ უეჭველათ მომცემს. ხომ მამა?

— რასაკვირველია, მოგცემს სტვირს, უთუოთ მოგცემს შეი-  
ლო, უპასუხა არჩიბალდმა და მერე გაიფიქრა: არა სჯობს ახლავე მოგამზადო, რომ თუ ვერა ეუშოვე-რა წინდაწინვე ელოდეს სურვი-  
ლის აუსრულებლობასაო და დაუმატა:

— ერთიც ენახოთ, თომა, დღეს ვერ მოვიდეს წმიდა ნიკო-  
ლოოზი, ხომ ჭკვიანათ იქნები, ჩემო შეილო? ხომ არ იტყვებ რომ უფრო ძრიელ არ გახდე ავით?

თომას ისე ენატრებოდა ჭრელი პატარა სტვირის შოვნა, რომ ამ ფიქრზე ყოველთვის ავითმყოფობა ემატებოდა. ახლაც თვალები აუპრიალდენ, ლოყები წამოუწითლდენ და თითქოს სიცხემაც მოუ-  
მატაო, მოჰყვა სხაპა სხუპით ლაპარაკს.

— შენ ფიქრობ, რომ იქნება არ მოვიდეს, მამა? მწუხარებით შეეკითხა თომა—შენ გგონია სულ არ მოვა წმიდა ნიკოლოოზი? ბავშვის თვალები ხელ-მეორეთ აპრიალდენ, ტუჩებმა კანკალი დაუწყეს. უცებ ქვითინი მორთო და ბალიშში წაჰყო თავი.

— თომა, შეილო! გაჩუმდი, რას შერები გენაცვალოს მამა! შე-  
ჰყვირა სასოწარკვეთილებით არჩიბალდმა და დაუწყა შეილს ალერსი.  
— დამშვიდდი, ჩემო კარგო. მე გგონია ის უთუოთ მოვა... მე და-  
რწმუნებული ვარ, რომ უეჭველათ მოვა წმიდა ნიკოლოოზი და ამიტომ შენ ახლა უნდა დაიძინო. შენ იმას ნურაფერს თხოვ. იმან თითონაც კარგათ იცის, რა ენატრება შენსაებ ჭკვიან ბავშვს; თუ კი იმას აქვს ჭრელი სტვირი უეჭველათ მოგიტანს, ჩემო შეილიკო, იმას როდი უყვარს, როდესაც ბავშვებს არა სძინავთ. დახუჭე თვა-



ლები, გაუნძრევლათ იწევი და დაგეძინება. ღამე შეიღობისა ჩემო პატარავ.

არჩიბალდი ნელა გამოვიდა ოთახიდან და მოიხურა კარი.

— ღმერთო მაცხოვარო! იმოდენა ღონისძიება არა მაქვს, რომ ჩემს სიხარულს, ავათმყოფ შეიღოს ერთი პატარა სტეირი და ორიოდ კამფეტი ვუყიდო!.. სასოწარკვეთილებით წამოიძახა საცოდავმა მამამ და თავში ხელი შემოიკრა— ეინ იცის ეს უკანასკნელი ნატერა ჩემი საცოდავის ბაღლისა, უკანასკნელი შობის დღესასწაულია მისთვის. მოესწრება კიდევ შობას? ეინ იცის! საცოდავი ჩემი ბიჭიკო, ყოველ დღე თანდათან უფრო ემატება ავათმყოფობა. ცარიელი ძვალტყავია. ოჰ მე უეჭველათ უნდა რამე ვიშოვო! დაბეჯითებით წარმოთქვა არჩიბალდმა, — მე უეჭველათ ვიშოვი, თუნდაც რომ... ის უცებ შეჩერდა და აქეთ იქით მიიხედა, ხომ არაეინ გაიგონა, რაც ვთქვიო. უცებ შეიკრა ვახეხილი პალტოს ღილები, ქუდი თვალებზე ჩამოიწია და გარეთ გამოვიდა.

რვა თვის წინათ გაკოტრდა ერთი ბანკი და სხვათა შორის არჩიბალდის სიმდიდრეც იქ დაიღუპა და მას შემდეგ დიდს გაჭირებაში ჩაეარდა. კარგა ხანს იარა ლონდონში საცოდავმა, რომ სამუშაო ეშოვა, მაგრამ ამოთ, არაეინ რას აძლევდა. იქამდის მივიდა ეს თავმოყვარე კაცი, რომ სახლის პატრონი აცხოვრებდა და მართალია დიდი ხარჯი არა უნდებოდა-რა, მაგრამ გულს ის უკლავდა, რომ იმ ცოტას გადახდაც არ შეეძლო.

არჩიბალდი როდესაც ისევ სტუდენტი იყო უნდოდა მწერლობისთვის მიეყო ხელი, მაგრამ ჯერ ცოლის შერთვამ შეუშალა ხელი, მერე ცოლის სიკვდილმა და შემდეგ მთელი თავისი ყურადღება მიაპყრო საყვარელ შეიღს, პატარა თომას. როცა ბანკში საცხოვრებელი დაეღუპა და უღუკმა პუროთ დარჩა, მაშინ ისევ მიჰყო ხელი წერას, მაგრამ მისდა საუბედუროთ არსად ბეჭდავდენ მის ნაწერებს, არც-კი კითხულობდენ. მხოლოდ ერთმა გაზეთის გამომცემელმა წაიკითხა მისი მოთხრობა და თუმცა იმანაც უკან დაუბ-



რუნა, მაგრამ საიმედო სიტყვები-კი უთხრა: თუ იშრომებ ნიჭიერი მწერალი დადგებიო.

არჩიხალდმა იცოდა იმ გაზეთის გამომცემლის ბინა და ახლაც იქით გაემართა. 'გზა-გზა სადაც-კი გასაყიდ საქმელს დაინახავდა ტან-ში აკრიალებდა ორი დღის უსმელ-უჭკელს; სათაძაშოების დანახვა-ზე-კი გული უკვდებოდა და ამიტომაც ის გიჟსავე-თ გარბოდა. საცო-დავს, გადაწყვეტილი ჰქონდა გაზეთის გამომცემლისთვის ეთხოვნა ცოტაოდენი ფული ქრელი სტვირის საყიდლათ.

— თუ მწერლობა არ შემოძლიან, ფაქრობდა გამწარებული მამა—დამტარებლათ ხომ ეივარგებ, ან ბუხრების ყურის მკდებლათ, ან იატაკების გამწმენდავთ, ყველას ეივისრებ ოღონდ ჩემი სიცოცხ-ლე, ჩემი შვილი გავახარო, გავაძლო. რა დიდი რამ არის, თუნდაც რომ შემწეობა ეთხოვო!—გაიფიქრა იმან და თან შერცხვა ამ გა-ფიქრებისა.—ეს ხომ მათხოვრობაა. ღმერთო ჩემო, რას ჩავდივარ! წა-ილაპარაკა მან და უკან გამობრუნება დააპირა, მაგრამ ამ დროს თვალ წინ წარმოუდგა გაყვითლებული, გამხდარი ს.ხე შვილისა და შურღუ-ლივით გასწია გაზეთის გამომცემლის სახლისაკენ. შუა-ლამე იქნებოდა, როდესაც ფარფატი, შიმშილისაგან დასუსტებული მიადგა გაზეთის გამომცემლის სახლს, რომელიც მშენიერ ბალით გარშემორტყმუ-ლი ამაყათ გამოიკურებოდა. მის დანახვაზე არჩიხალდს გულიდან მწარე ოხერა ამოხდა; არც ერთ ფანჯარიდან სინათლე არ მოჩანდა. ეტყობოდა სახლში ყველას ეძინა.

არჩიხალდმა გახურებული შუბლი მიადო ღობის მესერს. სი-ცივისა და შიმშილისაგან დასუსტებულს მთელი ტანი უკანკალებდა.

— რა ნება მაქვს შუა-ლამისას ლოგინდან წამოვყენო და მოწყალება ეთხოვო იმ კაცს, რომელიც ჩემს სიცოცხლეში მხო-ლოთ ერთხელ მინახავს! უეჭველია ლანძღვა-გინებით გამომისტუმ-რებენ—ფიქრობდა გულ-მოკლული არჩიხალდი და აპირებდა უკან გამობრუნებას, მაგრამ გაიფიქრა, იქით ფანჯრებიდან შევიხედავ—იქ-ნება ვისმეს ეღვიძოსო და გაუხვია მეორე მხარეს.



მეორე მხარეს ერთი ფანჯრიდან მართლა რაღაც მკრთალი სინათლე გამოდიოდა. არჩიბალდი მიუახლოვდა ფანჯარას და გადაწეული ფარდიდან დაინახა რომ სინათლე დანაკვეთრჩხლებული ცეცხლისაგან გამოდიოდა. ერთიც ენახოთ ნაკვეთრჩხლებს უკანასკნელი ალი ავარდა და წამს ოთახი სრულიად გაანათა. არჩიბალდი შიშისაგან გაშეშდა.

— ღმერთო ჩემო, მძინამს თუ მღვიძამს! ან იქნება მეჩვენება! ნუ თუ მაგიდაზე მართლა სათამაშოები აწყვია? ეკითხებოდა თავის თავს არჩიბალდი. ალი მსწრაფლ ჩაქრა და არჩიბალდმაც ევლარა შეამჩნია რა. მაგრამ დარწმუნებული-კი იყო, რომ გარჩევით დაინახა: — სათამაშო პატარა სახლი, დიდი ბზრიალა, თეთრი ბუმბულე-ბიანი პატარა სათამაშო ქუდი, დიდი ხმალი და თავი და თავი — ჭრელი პატარა სტეირი.

არჩიბალდს გულმა კანკალი დაუწყო, აქეთ-იქით მიიხედა, არავინ ჩანდა, არსაიღენ ჩაჩიჩუმი არ ისმოდა. ისევ ფანჯარაში შეიხედდა. ბნელოდა, მაგრამ თითქო ცხადათ ხედავდა სათამაშოებს, განსაკუთრებით ჭრელ სტეირს. უცებ ფანჯარას ხელი მოაელო, მაგრამ საჩქაროთ შესდგა, უკან გადმოდგა ფეხი. ამავე დროს თვალწინ წარმოუდგა პატარა გაყვითლებული სახე, ცრემლით საესე თვალეები, რომლებიც მწუხარებით ათვალთვლებდნენ ცალიერ წინდას და გაბედულათ გადასდგა წინ ფეხი. რამდენსამე წამს იდგა ჩუმათ ფანჯრის წინ და ყურს უგდებდა, ხმაურობა ხომ არსაიდან ისმისო. მეორე უცებ, თითქო მინმემ ხელი ჰკრაო, მოჰკიდა ხელი და ფანჯარა უჩუმრათ გააღო, რომელიც ალბათ მოსამსახურეს დაუკეტაფი დაეიწყებოდა.

არჩიბალდი თავის-და უნებურათ ოთახში გაჩნდა, მოხურა ფანჯარა, მივიდა მაგიდასთან, ხელში აიღო ჭრელი სტეირი, მიიტანა ცეცხლთან და შინჯვა დაუწყო.

— სრულიად ახალი სტეირია! რა მშვენიერი თასმა აქვს მოზმული, ამითი მხარზე უნდა გადავიკიდოს. ნეტაფი იმას — ეისიც შენა ხარ,



ნეტავი იმის მამას—ვისაც შენ ეკუთენი, ფიქრობდა აღტაცებით არჩიბალდი.—აბა ენახოთ ეს რა ქალაღლია. ზედ რაღაც აწერია: „ჯონნის, თავის მოყვარულ დეიდასაგან“ წაიკითხა არჩიბალდმა, უცებ მოაგლიჯა ქალაღლი და სტვირი ჯიბეში ჩაიღო.

სტვირი რომ ჯიბეში ჩაიღო არჩიბალდმა მხოლოდ მაშინ იგრძნო, რომ მთლათ სველი იყო და სიცივით კანკაღებდა. იქვე ახლო გახურებული ბუხარი თავისკენ იზიღაღდა საცოღაღეს. ჯერ-კი თავი იმაგრა, მაგრამ ვეღარ შესღლო და მიეფიცბა ცეცხლს. გვერღით ცეცხლის-საჩნრეკა რკინა იღო, მასაც ძაღლა-უნებურათ წააღლო ხეღლი და ცეცხლს შეუჩნკინა, ცეცხღიღან აღი აგარღა და კიღვე გაანათა ოთახი; არჩიბალღს შეეშინღა, რკინა ხეღლიღან გაგარღა და დაიჩნაკუნა.

— ეინა ხარ? მოისმა მეორე ოთახიღან კაცის ხმა.

არჩიბალღი გაფთორღა და ფეხზე წამოხტა. მხოლოღ ახღა მიხეღდა საცოღაღი, საღაც იყო და რაც ჩაიღინა, ან რა შეღვეღი მოჰყვეღბოღა მის დაუფიქრებელ ქცეღას. ისე დაიფანტა რომ კარში გაქცეღვის მაღიერ კარების ღიდ ფარღას ამოეფარა. იღგა ფარღის უკან, მაგრამ ტანში შიშის ჟრუანტელი უფელიღა.

— ეინა ხარ? კიღვე დაიძახა ვიღამაც.

— მამა! რა ამბაღია? მოისმა ქაღის ხმა - მოეიღა ეინმე?

— სუ... დამშეიღდი, შეიღო... არ ვიცი რა ამბაღია. თითქო ისე მომესმა, რომ ვიღაც შემოეიღდა, მაგრამ მგონია მაღიჩეენა. წაღი შენ ოთახში, დაწეკი.

რამღენსამე წამს სიჩუმე ჩამოგარღა. არჩიბალღმა გაიგონა რომ თითქოს კარი დახურესო; გაღასწია ფარღას, გამოიხეღდა და შეამჩნია რომ კაცის მსგაღსი რაღაც უღგა თეაღ-წინ.

— ეინა ხარ?

არჩიბალღს ცხაღათ ესმოღა თავისი გუღის კანკაღი. შაღი აჩრღიღი, რომელიც ახღა-კი ცხაღი აღამიანი იყო, მიუახლოღდა მაღიღაზე მღგარ ლამფას.



— ამ წამშივე ლამფას აენთებ, წარმოთქვა სახლის პატრონმა, მაგრამ იცოდნე ხელში დამბაჩა მიჭირავს და ფეხს გადმოდგამ ჩემკენ თუ არა იმ წამსვე გესერი.

განათლა ლამფის შუქზე ოთახი და საშინელი თავ-ზარ დამცემი სურათი წარმოუდგა არჩიბალდს თვალ-წინ; მის წინ იდგა მხოლოდ შარვლის სამარა, მაღალ-მაღალი ამაყი გამომეტყველების სახის კაცი, დავით გრანტი, გახეთის გამომცემელი, რომელმაც ერთ დროს, თუმცა დაიწუნა არჩიბალდის ნაწერი, მაგრამ შეაქო და უთხრა: თუ იმუშაებთ ნიჭიერი მწერალი იქნებითო.

— გამოდი ვინც ხარ თარღის უკან დამალული, წარმოთქვა ბრძანების კილოთი გრანტმა და მიაშვირა არჩიბალდისკენ ტამბაჩა.

შიშისა და სირცხვილისაგან აკანკალებულმა არჩიბალდმა გადასწია თარღას და წამოდგა წინ ფეხი.



— ღმერთო ჩემო! შეჭყეირა გრანტმა—ეს თქვენა ხართ? აი, თქვენი ნამდვილი ხელობა რა ყოფილა. მაშ ლიტერატურა თქვენთვის უბრალო დროს გატარება ყოფილა... კარგია...

არჩიბალდს უნდოდა ეთქვა რამ, თავი ემართლებინა, მაგრამ ამაოთ, ენა თითქო ჩაუფარდა.

— მამა, რა ამბავია? მოისმა ყმაწვი-

ლი ქალის ხმა კარებთან — მე შემომესმა, რომ თითქო ვილასაც ელაპარაკები!

— ახლა-კი შეგიძლიან შემოხვიდე, ბერტა! უპასუხა მამამ—ჩემ-  
თან ლამის რაინდია, ესე იგი ქურდი, მაგრამ საშიშარი-კი არა.

თეთრ დილის ხალათში გამოწყობილი თვრამეტი წლის ლამა-  
ზი ქალი შემოვიდა ოთახში და შეშინებით დაუწყო ყურება არჩი-  
ბალდის საცოდავთ გაფითრებულს სახეს.

— მე და ამ ყმაწვილ კაცს წინათაც გვინახავს ერთმანეთი—მი-  
მართა ქალს გრანტმა—ეტყობა, როდესაც ლამის რაინდობას გაათა-  
ეებს თავს მწერლობაში ირთობს. მეც მიპარობდა გაბედნიერებას და  
უნდოდა ჩემ გაზეთში ებეჭდა თავისი ნაწარმოები. სამწუხაროთ მე  
ვერ დაეუბეჭდე, რადგან მის ნაწერებში ნაძალადეობა უფრო ეტყო-  
ბოდა, მინამ ნიჭი. ამას რომ იმდენი მოეფიქრა და თავის ლამის რაინ-  
დობა აეწერა ხოლმე, მაშინ, უეჭველია, უფრო ნიჭიერი თხზულება გა-  
მოუყიდოდა და ჩვენც დაეუბეჭდავდით.

გრანტის ყოველი სიტყვა გულში ლახვარივით ესობოდა არ-  
ჩიბალდს; მთლათ მიწასთან გასწორებული, ენა ჩაეარდნილი ისეთი  
საცოდავი სანახავი იყო, რომ მხეცსაც-კი მოუღებოდა გულს მისი  
შეხედვა.

— იმის მაგიერ, რომ ასე მოქცეულიყო—განაგრძო გრანტმა—  
შემობძანებულა აქ და ჩემი ვერცხლის კოვზებითა და დანაჩანგლით  
აუესია ჯიბეები. შე საზოგადოთ არ მიყვარს ყმაწვილი კაცების და-  
ჩაგვრა, მაგრამ ამ ქამათ-კი გთხოვთ, დამიბრუნოთ ჩემი ნივთები!..  
შეუტია მან არჩიბალდს.

არჩიბალდმა ამოიღო ჯიბიდან პატარა ჭრელი სტვირი და დად-  
ვა მაგიდაზე.

— მე ამ ჭრელი სტვირის მეტი არა ამიღია-რა და არც არაფ-  
რის წადება მინდოდა—წაილაპარაკა მთლათ მიწასთან გასწორებულ-  
მა არჩიბალდმა.

გრანტმა გოჯებით შეხედა მას და დაცინვით წარმოთქვა:

— კარგია თუ ღვერთი გწამს. თუ თქვენი ხელობის კაცისათვის



სიცრუეც მეორე ხელობაა, ისე მაინც იცრუე, რომ კაცმა დაგიჯეროს. განა დარწმუნებული ხართ, რომ მაგ თქვენ სიტყვებს დაგიჯერებთ?

არჩიბალდმა მუდარებით შეხედა მას, მაგრამ უცებ თავი ჩაღუნა. გრანტს ისეთი სასტიკი სახე ჰქონდა, რომ მისგან ვისიმე შებრალება შეუძლებელი იყო.

— არა, თქვენ არაფერს დამიჯერებთ! არც შემიბრალებთ! სასოწარკვეთილებით წაილაპარაკა მან.

— რასაკვირველია არ დაგიჯერებ. ბერტა, ჩემო შეილო, მანდ მაგიდის უჯრაში სასტეენია, ამოიღე, გააღე ფანჯარა და დაუსტეინე, რომ პოლიციელი მოვიდეს.

— ოხ მამილო! განა უნდა შენ მართლა პოლიციას შეატყობინო? მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს კაცი მართალს იტყვის. მოუსმინე თუ გიყვარდეს, შეჰყვირა ბერტამ, რომელიც მეტათ შეაწუხა არჩიბალდის უიმედოთ შეწუხებულმა სახემ.

ყმაწვილი ქალის ხმაზე არჩიბალდმა ზევით აიხედა და იმედი მოეცა, გაბედულება მოემატა, ენის მოძრაობა მოეშვა და დაიწყო თავისი გაჭირვებული ცხოვრების ამბავი. იგი ისეთის მჭევრმეტყველებით, ისეთის სინამდვილით გადასცემდა მსმენელთ თვისის გაჭირების ისტორიას, რომ გრანტი და მისი ბერტა მთლათ სმენათ გარდაიქცენ. იმათ თითქოს ნამდვილათ თვალ-წინ წარმოუდგათ პატარა, ოდნავ განათებული ღარიბი ოთახი, საწოლი და ზედ გამხდარ-გაყვითლებული პატარა თომა, რომელიც უიმედოთ შესცქეროდა ცალიერ წინდას. წარმოუდგათ საცოდავი მამა, სიცივით და შიმშილით ღონე გამოღეული, როგორ გამწარებული გარბოდა ბნელ ქუჩაზე და ეძებდა რამე ღონისძიებას ავთამყოფი შეილის სურვილის დასაკმაყოფილებლათ. თითქო ბერტაც და მისი მამაც, ისეთისავე სურვილით გატაცებულნი, ხედავდნენ ფანჯრიდან თომას სანატრელ ჭრელსტიერს და სწუხდნენ, რომ ეს ჭრელი სტიერი აქ იდო, მათ ოთახში და არა თომას წინდაში.

არჩიბალდმა გაათავა თავის ამბავი და შეხედა მამა-შვილს. ბერტას თვალები ცრემლებით ჰქონდა საესე და მამა ლმობიერათ გამოიყურებოდა.

— ხომ აპატივებ მამილო, ამ საცოდაეს? დაეკითხა ბერტა მამას. გრანტი გაჩუმებული იდგა. ბოლოს, თითქო რაღაც მოაგონდაო, წარმოთქვა.

— აი მე რას ვიტყვი, მიუბრუნდა ბოლოს გრანტი არჩიბალდს. — მე ღონისძიებას მოგცემთ, რომ ფული იშოვოთ: დაჯექით აი აქ, მაგიდასთან და დასწერეთ თქვენი ქურდობის ამბავი, რამ გაიძულათ ჩემს ოთახში ქურდულათ გადმოსვლა. ეცადეთ რომ თქვენი მოთხრობა მოკლეთ დასწეროთ, მარტივათ და ადვილ გასაგებათ. თუ ხეირიანი გამოგივით მივიღებ, დაგიბეჭდამთ და ფულსაც მოგცემთ. თუ ამას მოახერხებთ მე დავრწმუნდები, რომ თქვენ პატიოსანი შრომა შეგძლებიათ, თუ არა და მაშინ-კი დაეუძახებ პოლიციას. აბა დაჯექით და მოიკრიბეთ ღონე. ბერტა შეიღო, გაიქეცი და ჩემი სერთუკი მომიტანე.

თავჩაღუნული მიუჯდა არჩიბალდი მაგიდას. აქამდის მისი ნაწერი ყველა უვარგისი გამოდიოდა და არც ახლა ჰქონდა იმედი. რამდენჯერმე მოჰკიდა ხელი კალამს, ჩააწო საწერელში, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ დასწერა. რომ აპირებდა უიმედოთ ადგომას, თვალი მოჰკრა ჭრელ სტირის და იფიქრა: მოდი სათაურათ ამას გავუკეთებო და დასწერა ჭრელი სტირი. დაიწყო თომასი და თავისი ლაპარაკიდან და გაუსვა კალამს. სახე აწითლებული, თავჩაღუნული ჩასცეცებოდა არჩიბალდი მაგიდაზე გადაშლილ თეთრ ქაღალდს და თავის და უნებურათ, შეუჩერებლივ სიტყვებს სიტყვებზე აბამდა. არც ერთს წამს არ დაფიქრებულა, უტყუერათ და სინამდვილით სთესავდა ქაღალდზე თავის თავ-გადასავალს და თითონვე უკვირდა, რომ ისე წყალივით მისდევდა სიტყვები სიტყვებს. როდესაც გაათავა ისე გაცოცებით აჩნდა მალლა თითქო გულის მძინარე ვინმემ გამოაღვიძაო. შემდეგ, ისევე თავჩაღუნულმა, უიმედოთ გადასცა ხელ-



ნაწერი გრანტს და დარწმუნებული იყო, რომ არ მოეწონებოდათ და წინდაწინვე ითვალისწინებდა პოლიციაში გამგზავრების სურათს.

გრანტმა ისე ჩუმად წაიკითხა ხელნაწერი, რომ არაფერი შენიშვნა არ მიუტოა. ბერტაც იქვე იდგა მამის ზურგთან და ისიც ჩუმად კითხულობდა.

— თქვენ თითონ რას იტყვით ამ მოთხრობის შესახებ? ჰკითხა გრანტმა არჩიბალდს, ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— როგორც წინანდელი ნაწერები, უსათუაო არც ეს ვარგა — წარმოთქვა უიმედოთ არჩიბალდმა — მე სრულიად იმედი დეკარგე, რომ როდისმე ხეირიანი რამ დავწერო. აიღეთ თქვენი სასტიქიანი და დაუძახეთ პოლიციას.

გრანტმა ხელი დაადო არჩიბალდს მხარზე და ალერსით უთხრა.

— აგრე უიმედოთ ნუ უყურებ შენს მომავალს. მე ყოველთვის ეფიქრობდი, რომ თქვენ ნიჭიერი კაცი ხართ; მშვენიერი მოთხრობაა ეს თქვენი ჭკეჭვი სტკეჩი, დიდი ხანია ასეთი ნიჭიერათ დაწერილი მოთხრობა არავისგან მიმიღია. მე ამ მოთხრობას დიდს სიამოვნებით დავებჭდავ და ფულსაც მოგცემთ.

არჩიბალდი მთლათ გაშეშდა, გაოცდა. გრანტი ალერსით შეცქეროდა მას. ბერტას კეთილს თვალეზში ცრემლი მოერია.

— მე კი არ გატყუებთ — უპასუხა გრანტმა — დარწმუნებული ვარ რომ თქვენ სამაგალითო მწერალი შეიქმნებით, ღამის რაინდათ კი იცოდეთ, არ ივარგებთ, მაგრამ მაინც მე უკანასკნელ ნაშრომს ვერ წაგართმეთ. აიღე გეთაყვა ეს ქრელი სტერი და ისევე ჩაიდე ჯიბეში. ბერტამ ეგ საჩუქრები თავის დისწულისთვის იყიდა, რომელიც ხეალ სადილათ ჩვენთან იქნება. იმას სხვას რასმე მოეუშხადებთ. ამას გარდა თქვენ, უეჭველია, ახლა ფული გეჭირებათ, რაც შესაძლებელია ამ ქამათ ცოტას მაინც მოგცემთ. ბერტა ხომ რაღა თქმა უნდა უარს არ იტყვის და რამე საუზმეს მოგიტანთ.

— რა თქვით? ნუ შესწუხდებითო? კარგია, თუ ღმერთი გწამთ, დაჯექით და ისაუზმეთ, თორემ ხომ გაიგვთ რომ სასტიქიანი მაგი-

დის უჯრაში დევს და თუ გაჯიუტდებით, მაშინ პოლიციის თავ-  
შესაფარში გაგისტუმრებთ.

მეორე დილას თამას რომ გამოეღვიძა სიხარულით არ იცო-  
და რა ეთქვა; მი'ი წინდა ტიკივით იყო გაბერილი სხვა-და სხვა სა-  
ჩუქრებით და ზემოდან-კი თავი გადმოეყუ მის დიდი ხნის სანატრელ  
ჭრელ სტვირს. თომა ვერ მიმხედარყო, როგორ მიხვდა წმიდა ნი-



კოლოზი ჩემს  
სურვილს ჭსწო-  
რეთ ის სათამა-  
შოები მომიტა-  
ნა, რომლებიც  
მე მენატრებო-  
დაო.

ამ დღიდან  
ის სრულიად გა-  
მობრუნდა და  
მალე ისეთივე

ფუნჩულა ლოყებიანი ბიჭიკო გახდა, როგორიც ამ ერთი წლის წი-  
ნეთ იყო.

ამას შემდეგ კარგა ხანმა გაიარა. არჩიბალდი ახლა მართლა  
შესანიშნავი მწერალია, მის ნაწერებს ხალხი გაფაციცებით კითხუ-  
ლობს. მაგიდის უჯრიდან ახლაც არ იშორებს ბერტას სურათს და  
დაძველებულ ჭრელ სტვირს.

ს. ციციშვილი.

(თარგმანი)





## პატარა დედოფალი.

### X

ჭმრსუმის ქვრივი დამარსებულია.



ატარა დედოფალს ისევ ეძინა, როდესაც გრაფინია როზენბერგი მასთან შევიდა.

— რა სასიამოვნოა, რომ მობძანებულხართ, ჩუჩულოთ წაილაპარაკა გრაფინიას მომეღელმა ქალმა—როდესაც გაიღვიძებს დედოფალი

ძალიან იამება თქვენი დანახვა.

გრაფინიას დიდხანს არ მოუწდა ცდა. დედოფალს მოუსვენრათ ეძინა და რამდენსამე წუთ შემდეგ ამოიოხრა და თვალი გაახილა. როდესაც გრაფინიას ლამაზი და კეთილი სახე დაინახა ნასკამ ნაზათ გაიღიმა.

— დაბრუნდით? დასუსტებულის ხმით მიმართა მან გრაფინიას და ხელი გაუწოდა.



გრაფინიას ტირილი მოუვიდა. დაიხოკა ნასკას წინ და რამდენჯერმე აკოცა გაყვითლებულ ხელზე.

— რა გატირებთ? გოაცებით დაეკითხა ნასკა გრაფინიას— თქვენც ხომ დედოფალი არა ხართ? განა თქვენც უბედური ხართ?

გრაფინია ისე იყო შეწუხებული და აღელვებული, რომ პირველში ვერაფერი უპასუხა და მხოლოდ თავი გააქნია.

— მე ეტირი იმიტომ რომ თქვენი უდიდებულესობა... ბოლოს წაილაპარაკა გრაფინიამ.

— თქვენ ჩემზე ტირით? გააწყვეტინა ნასკამ და შეაცქერდა გრაფინიას თვალებში, — აქამდის ჩემის გულისთვის არას დროს არა-ვის არ უტირნია! მაშ თქვენ ალბათ გებრალებით, იმიტომ რომ მე დედოფალი ვარ, არა?



— არა, თქვენო უდიდებულესობაე! მწუხარების ღიმილით უპასუხა გრაფინიამ— მე იმიტომ ეტირი, რომ თქვენ ავათა ხართ. ნასკამ ღრმად ამოიოხრა.

— ძნელი ყოფილა გრაფინიაე, დედოფლობა! ეს ისე წელა წაილაპარაკა ნასკამ, რომ გრაფინიამ ძლიერ გაიგონა.

კოტა ხანს სიჩუმე ჩამოეარდა. ნასკა გაუნძრევლათ იწვა; ერ-



თარგმანი  
ბიბლიოთეკა

თის ხელით გრაფინას ხელი ეჭარა და მეორეთი ყვაფილების თაი-  
გული, რომელსაც გულიდან არ იშორებდა.

— არ იცით ეს თაიგული ჩემს ბალიშზე ვინ დასდო? ბოლოს  
დაეკითხა ნასკა.

— მე დავდე, თქვენო უდიდებულესობავ.

— თქვენა? მაშ ის სიზმარი არ იყო? თქვენ ნამდვილათ იყავით  
დილას ჩემთან?

— გახლდით, თქვენო უდიდებულესობავ.

— და თქვენ მაკოცეთ მე? დარცხენით ჰკითხა ნასკამ.

— დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, ღიმილით მიუგო გრა-  
ფინიამ.— მე გავბედე თქვენი კოცნა, თუშკა ჰერცოგ...

— რათა, რათ მაკოცეთ? იმიტომ რომ შეგებრალეთ, არა?

— არა, თქვენო უდიდებულესობავ, იმიტომ რომ მე თქვენ  
მიყვარხართ.

— თქვენ გიყვარვართ? წაილაპარაკა ალელეებით ნასკამ, თვა-  
ლები გაუბრწყინდა და მის გაყვითლებულ ლოყებს სიწითლე მოე-  
ჩია.— თქვენ გიყვარვართ? გამეორა იმან.— თაგის დღეში მე არა-  
ვის ეყვარებივარ!

— რას ბრძანებთ, დედოფალო! თქვენ მაგაში შემცდარი ხართ!  
თქვენოდენი კეთილის მყოფელი ვისა ჰყავს! აი, თუნდ პრასკების  
უფროსი ავილოთ მაგალითათ, ეგ თაიგულიც ხომ იმან მოგიტანათ.  
თქვენთვის და თქვენის...

— რათ მომიტანა ეს თაიგული? ან ჩემს თანჯრებთან რათა  
დგას ის? გააწყვეტინა ნასკამ.

— თქვენ გადაარჩინეთ სიკვდილს ჯერ მისი ცოლი, მერე თი-  
